

ორგანიზაციებში საოპერაციო რისკების მართვის სრულყოფის ამოცანები და სტანდარტები

ეკატერინე თურქია¹, ნატო მოროზი¹, თინათინ ქაჩლიშვილი²
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი¹, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი²

რეზიუმე

ორგანიზაციებში საოპერაციო რისკების მართვა ერთ-ერთი პრიორიტეტული და სენსიტიური საკითხია. საოპერაციო რისკების მართვა უზრუნველყოფს ორგანიზაციის შესაძლო მატერიალურ, არამატერიალურ და სასიცოცხლო მნიშვნელობის ზიანის თავიდან აცილებას. ამგვარ კრიტიკულ საკითხებზე დროული და სწორი რეაგირებისთვის აუცილებელია ორგანიზაციის შიგნით სისუსტეებზე და ორგანიზაციაზე მოქმედ გარე საფრთხეებზე მონაცემების შეგროვების, ცენტრალიზებული მონიტორინგის, შეფასებისა და ანალიზის პროცესების მაქსიმალური ავტომატიზაცია, შესაბამისი მეთოდებისა და ანალიტიკური ინსტრუმენტების დანერგვა. ამ თვალსაზრისით, სტატიაში ყურადღება ეთმობა ორგანიზაციებში საოპერაციო რისკების მართვის პროცესის პრობლემებს და ამ პრობლემების სრულყოფისთვის განხილულია მონაცემთა ავტომატიზებულად დამუშავებისა და დანერგვის ამოცანები და სტანდარტები.

საკვანძო სიტყვები: საოპერაციო რისკები. ბიზნეს უწყვეტობის რისკი. რისკის ძირითადი ინდიკატორები.

1. შესავალი

რისკი განსაზღვრავს ნებისმიერ მოვლენას, რომლის შედეგადაც კომპანიის საქმიანობის ფინანსური შედეგები შესაძლებელია მოსალოდნელზე დაბალი აღმოჩნდეს. ჩვეულებრივ, რისკის შეფასებისთვის გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები: კაპიტალის მოცულობის თანაფარდობა რისკთან, მომგებიანობის თანაფარდობა რისკთან, ან ფულის ნაკადის თანაფარდობა რისკთან. ამა თუ იმ მაჩვენებლის არჩევა იმ საბაზისო ინფორმაციის ბუნებაზეა დამოკიდებული, რომელიც ანალიზის დროს გამოიყენება (საბალანსო, მოგება/ზარალის ან ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისები და სხვ.).

ნებისმიერი რისკის ანალიზი, დაფუძნებულია სტატისტიკური და პროგნოზირების ანალიზის მეთოდებზე, რისი პრაქტიკული გამოყენების ძირითადი წყაროც მონაცემებია. ამდენად, მნიშვნელოვანია ზუსტი და ხარისხიანი მონაცემების შეგროვება, რისკის მოვლენების მიხედვით მონაცემთა კატეგორიზაცია, რისკთან დაკავშირებული ინფორმაციის მონაცემებად სტრუქტურისა და ამ მონაცემების მანიპულაცია.

2. ძირითადი ნაწილი

საოპერაციო რისკი დანაკარგის მიღების რისკია, რომელიც გამოწვეულია არაადეკვატური ან წარუმატებელი შიდა პროცესებით, კადრებითა და სისტემებით, ან გარე ფაქტორებით, ამასთან იგი მოიცავს იურიდიულ რისკს და შეიცავს ასევე სტრატეგიულ და რეპუტაციის რისკს [1].

საოპერაციო რისკი ხშირად ძალიან რთული მოვლენების ერთობლიობის შედეგია, რომლის პროგნოზირება და მოდელირება არატრივიალური ამოცანაა. გამომდინარე აქედან, მიღებულია საოპერაციო რისკის კატეგორიებად დაყოფა, რაც საბაზისო მოვლენის მიხედვით განისაზღვრება. ამგვარი მიდგომა, აიოლებს რისკის ტიპის განსაზღვრას.

საოპერაციო რისკების ჭრილში ფიგურირებს ოთხი ძირითადი ფაქტორი: 1. ადამიანი; 2. პროცესი; 3. სისტემა; 4. გარე ფაქტორები (მაგ., სტიქიური მოვლენები), ხოლო რისკზე ფოკუსირება მოიცავს – საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკს (IT ინფრასტრუქტურა, IT უსაფრთხოება), ბიზნეს რისკს და ბიზნეს უწყვეტობის რისკს.

ბიზნეს უწყვეტობის რისკი საოპერაციო რისკის განუყოფელი ნაწილია. იგი, ორგანიზაციის შიგნით მომხდარი ან ორგანიზაციაზე მოქმედი გარე ფაქტორების გამო გამოწვეული

ორგანიზაციის საქმიანობის შეფერხების აცილებისა და საგანგაშო სიტუაციების მართვის მეთოდოლოგია, პროცედურა და სახელმძღვანელოა. ბიზნეს-უწყვეტობის გეგმა განიხილავს სხვადასხვა სახის რისკების შეფასებას, რომლებმაც შეიძლება ზეგავლენა იქონიოს ორგანიზაციის პროცესებზე [2].

საოპერაციო რისკის მართვისთვის, რაც ორგანიზაციაში საოპერაციო სისუსტეების პრევენციის ხელშეწყობაა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მონაცემების (დანაკარგები, მოვლენები, ინციდენტები) შეგროვება და მისი ანალიტიკური ანალიზი. მონაცემების შეგროვების თვალსაზრისით, ფოკუსირება უნდა მოხდეს საოპერაციო რისკის ძირითად ინდიკატორებზე (Key Risk Indicator), რაც იყოფა სამ ძირითად ნაწილად: მიმდინარე ფუნქციონირების ინდიკატორი (key performance indicators), რაც განხორციელებული ოპერაციების ეფექტურობის მაჩვენებელია (მაგ., არასწორი ოპერაციების რაოდენობა, კლიენტების საჩივრები, კადრების ცვალებადობა, საინფორმაციო სისტემების ქმედითუუნარობის მთლიანი დრო და სხვ.); ეფექტურობის კონტროლის რისკი (key control indicators) ანუ დაშვებული შეცდომების რაოდენობა, რომელიც აღმოიფხვრება შიდა კონტროლის მექანიზმებით (მაგ., გამოსწორებული ოპერაციების რაოდენობა, დაუმტკიცებელი გარიგებების რაოდენობა, მონაცემებზე არასანქცირებული წვდომის გამოვლენის შემთხვევები და სხვ.) [3].

რისკის ინდიკატორი ანუ წინსწრების მაჩვენებელი გაითვლება ანალიტიკურ ან თვლადი გზით და იყენებს ზემოთხსენებულ ინდიკატორებს. მაგალითად, ოპერაციების მოცულობის ერთდროულად ზრდის შესაბამისი ინფორმაცია, კადრების ცვალებადობა და შეცდომების ოდენობა - ამ გზით ვლინდება საოპერაციო რისკის დონე კომპანიაში. ზემოთხსენებული ინდიკატორები ხშირად გამოიყენება საოპერაციო ფუნქციონირების კონტროლისთვის, თუ გამოვლინდა ნებისმიერი ცუდი სიგნალი აღნიშნულ ინდიკატორებში, ეს პირდაპირ კავშირში იქნება საოპერაციო რისკებთან, შესაბამისად რისკ მენეჯერს შეუძლია კონტროლის გაძლიერებით აღმოფხვრას რისკი.


გამომდინარე აქედან, აუცილებელია და მნიშვნელოვანია რისკის ინდიკატორების ცენტრალიზებული მონაცემთა ბაზის წარმოება, რომელიც წარმოადგენს ძირითადი ინფორმაციის წყაროს საოპერაციო რისკებზე. ამავდროულად, საოპერაციო რისკების სწორი მართვისთვის აუცილებელია ადამიანური რესურსის გამოყენების შემცირება პროგრამებთან მიმართებაში, შესაბამისად უმეტესი პროცესები უნდა იყოს ავტომატიზებული.

საოპერაციო რისკების მინიმიზაციისთვის აუცილებელია ორგანიზაცია დეტალურად ახორციელებდეს მომხდარი საოპერაციო რისკების გამომწვევი ფაქტორების ანალიზს, საოპერაციო რისკის წინასწარ გამოვლენას, რისკის შეფასებას, მონიტორინგსა და მუდმივ კონტროლს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ისეთი ავტომატიზებული სისტემის დანერგვა, რაც უზრუნველყოფს დანაკარგებისა და მომხდარი დარღვევების/შემთხვევების დეტალური ინფორმაციის ინტეგრირებული მონაცემთა ბაზის წარმოებასა და მონაცემების ანალიტიკურ დამუშავებას. საოპერაციო რისკების მართვაში მონაცემთა ანალიტიკური ანალიზისთვის, რაც საოპერაციო რისკების შეფასებისთვის გამოიყენება, გამოყენებაშია სტატისტიკური მეთოდი, სიმულაციის მეთოდი, გაანგარიშება სტანდარტული მეთოდებიდან გადასრის საფუძველზე, სცენარის ანალიზის მეთოდი [1, 4].

აღნიშნულ მეთოდებში თითქმის ყოველთვის არის პრობლემები მონაცემებთან, რის გამოც რისკის მაჩვენებლის შედეგი უფრო ალბათობას ეყრდნობა ვიდრე სტატისტიკას. ამიტომ დღეს დღეისობით ყურადღება გამახვილებულია ამოცანების სწორ დანერგვაზე, ხარისხიან შეფასებაზე, რისკის კულტურის დანერგვაზე და საოპერაციო რისკების მონაცემთა ბაზის სრულყოფაზე, რაც საკმაოდ რთულია, რადგან რიგ ორგანიზაციებს აქვთ მუშაობის საკმაოდ მცირე დროის გამოცდილება და შესაბამისად ბაზა ცარიელია, სხვა კომპანიები კი თავის მონაცემებს არ

ასაჯაროებენ, ამდენად სრულყოფილი საოპერაციო რისკის მართვისთვის აუცილებელია ხარისხიანი მონაცემთა ბაზა და საოპერაციო რისკების მართვის პროცესების ავტომატიზაცია.

1-ელ ნახაზზე მოცემულია საოპერაციო რისკებზე მომქმედი ფაქტორებისა და ამ ფაქტორების ეფექტურად მართვისთვის საჭირო ღონისძიებები, მექანიზმები და ატრიბუტები.



ნახ.1. საოპერაციო რისკების მართვის ფუნქციონალური სტრუქტურა

საოპერაციო რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია:

- მონაცემების შეგროვებისა და შენახვის პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა;
- მარეგულირებელი მოთხოვნებისთვის რისკის შეფასების მოდელების ანალიტიკური ინსტრუმენტების დანერგვა;
- ნორმატიული და ბანკის შიდა მოთხოვნების შესაბამისი ანალიზის წარმოების სისტემები;
- დანაკარგების ერთიანი მონაცემთა ბაზის ინტეგრაცია;
- საოპერაციო რისკების მართვის პროცესების სტანდარტული სტრუქტურის შემუშავება;
- თვითშეფასების პროცესის ავტომატიზაცია;
- საოპერაციო რისკების მართვის პროცესების ეფექტური შეფასება და სრულყოფა;
- ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის მართვის სისტემის დანერგვა;
- რისკის შემცირება და მათი კონტროლის გაუმჯობესება;
- სუსტი პროცესების გამოვლენის;
- მოვლენების და ზარალის მონაცემების შეგროვება და მართვა;
- მოქნილი და თანმიმდევრული ანალიზი ჯგუფის კომიტეტის ღირეპტორთა საბჭოს ღონეზე;
- პრევენციული მართვა;
- ძირითადი მოვლენების ნუსხა, რამაც შესაძლოა კომპანია მიიყვანოს დანაკარგებამდე;
- სისტემაში დაშვებულ რისკს შეუძლია თუ არა ადგილი ქონდეს აღნიშნულ კომპანიაში;
- რომელი საოპერაციო რისკები იწვევენ უფრო მეტ დანაკარგს;
- მიღებული დანაკარგი რა გავლენას ახდენს ბიზნესზე.

3. დასკვნა

დანერგილი სტანდარტები, მეთოდები, თანამშრომელთა ინფორმირებულობა, ბიზნეს პროცესების ავტომატიზაცია, მისი სწორი მართვა და საბოლოოდ მთელი სისტემის მონიტორინგი ხელს უწყობს რისკის მართვის გაკონტროლებას, ხარვეზების ადრეულ ეტაპზე აღმოჩენას და სწორ შეფასებას, რაშიც საბოლოოდ ერთგება ორგანიზაციის მენეჯმენტი და ხდება შიდა კონტროლის ხარისხის გაუმჯობესება, რაც განაპირობებს საოპერაციო რისკების შემცირებას.

ლიტერატურა:

1. Basel II. <http://www.bis.org/publ/bcbsca.htm>
2. პაპუაშვილი დ., ბიზნეს უწყვეტობის ეფექტიანი მართვა. ეკონომიკა და საბანკო საქმე. ტ.1, N2, საქართველოს ეროვნული ბანკი, 2013. www.nbg.gov.ge/uploads/journal/2013/n_2/papuashvili.pdf
3. Key Risk Indicators. <https://www.ior-institute.org/sound-practice-guidance/key-risk-indicators>
4. http://en.wikipedia.org/wiki/Operational_risk_management

THE STANDARDS AND GOALS TO IMPROVE OPERATIONAL RISKS MANAGEMENT IN ORGANIZATIONS

Turkia Ekaterine¹, Morozi Nato¹, Kachlishvili Tinatin²
Georgian Technical University¹, Iia State University²

Summary

Operational risk management in organizations is one of the high priority and sensitive matter. Operational risk management prevents material, non-material and vital damage to the organization. In order to adequately and timely address such critical issues, maximal automation of data analysis, evaluation, centralized monitoring, data collection of internal weaknesses and external threats to the organization, appropriate implementation methods and analytical tools are required. The article deals with above mentioned problems of operational risk management in organizations. It proposes goals and standards for the carrying out implementation of automated data processing.

СТАНДАРТЫ И ЦЕЛИ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ УПРАВЛЕНИЯ ОПЕРАЦИОННЫМИ РИСКАМИ В ОРГАНИЗАЦИЯХ

Туркия Е.¹, Морози Н.¹, Качлишвили Т.²
Грузинский технический университет¹,
Государственный университет им. Ильи Чавчавадзе²

Резюме

Управление операционными рисками в организациях является одним из приоритетным и чувствительным вопросом. Управление операционными рисками обеспечивает предотвращение материальных, нематериальных и жизненно важных ущербов. Для адекватного и своевременного реагирования на такие критические проблемы требуется максимальная автоматизация процессов анализа, оценки, централизованного контроля, сбора данных по внутренним слабостям и внешним угрозам организации, осуществление соответствующих методов и аналитических инструментов. С этой точки зрения, в статье рассматриваются проблемы управления операционными рисками в организациях. Для совершенствования этих проблем предложены задачи и стандарты для реализации и внедрения системы автоматизированной обработки данных.